



1974 წ. № 88 (5118) მაისი, კვირა. შანი 3 აპკ. გავითი გავიღის 1084 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი

რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის 1973 წლის სოსიადისგური შეჯიბრების შედეგების შესახებ

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ხუთწლიანი გადამწყვეტი — 1973 წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს: გადაჭარბებით შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალიდებულების თითქმის ყველა ძირითადი მაჩვენებელი. შარშან მომზადდა 204 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი და 17 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 150-სა და 12-სა). გადაჭარბებით შეასრულდა, აგრეთვე, მშდ კომპლექსის ნიშნისებისა და სპორტსმენ-თანრიგისათა მომზადების გეგმები.

ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქუთაისის, თბილისის, რუსთავის, აჭარის ასსრ, გორის, მცხეთის, დუშეთის, ზესტაფონის, გარდაბნის, მახარაძის, გურჯაანის, ზუგდიდის, ონის, მთავრის, ჩოხატაურის, სავარჯეს რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, „დინამოს“, „ბურევესტიის“, „სპარტაკის“ და „განთადის“ საბჭოები.

ფიზკულტურისა და სპორტში 1973 წელს მოხვედრილი მაღალი მაჩვენებლებისთვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბარდამბაშვილი წითელი დროშებითა და საბატიო სიგელისა და დაჯილდოვდნენ:

ქუთაისისა და თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო, მცხეთის, დუშეთის, ზესტაფონის, გარდაბნის, მახარაძის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები; „დინამოს“ და „ბურევესტიის“ რესპუბლიკური საბჭოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საბატიო სიგელისა და დაჯილდოვდნენ:

აჭარის ასსრ, რუსთავისა და გორის ფიზკულტურის საქალაქო, გურჯაანის, ზუგდიდის, ონის, ჩოხატაურისა და სავარჯეს რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები; „სპარტაკის“ და „განთადის“ საბჭოები.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმის უნარიანი ხელმძღვანელებისთვის კომიტეტის საბატიო სიგელისა და მარსი ტიპის სმელისა (აღვილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან) დაჯილდოვდნენ:

ქუთაისის (ლ. ახვლედიანი), თბილისის (გ. შარაშიძე), აჭარის ასსრ (გ. მამუკაძე), გორის (გ. მუყაწიშვილი), მცხეთის (ფ. ხუროშვილი), დუშეთის (ა. იორდანიშვილი), ზესტაფონის (კ. ბაზაძე), გარდაბნის (ფ. ნუცუბიძე), მახარაძის (ო. კოშინაძე), გურჯაანის (ა. ჭუჭუაშვილი), ზუგდიდის (რ. ბულია), ონის (შ. ქოჩლაძე), ჩოხატაურის (დ. ჩხიკვაძე), სავარჯეს (ვ. ოდიკაძე) ფიზკულტურის კომიტეტების თავმჯდომარეები.

კომიტეტის საბატიო სიგელისა და დაჯილდოვდნენ: „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე, „ბურევესტიის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ასათიანი, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ა. კორინთელი, „განთადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე დასვა საკითხი, რომ სპორტულ საზოგადოებებს მიეცეთ ადგილობრივი ბიუჯეტიდან რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეებისა და სხვა აქტიური მუშაკების დასაჯილდოებლად ფულადი სახსრების გამოყოფის უფლება.

5 ეროვნული გასმართული საბჭოთა გეგმიური სიტყვის ღირსი

საკატიო სიგელისა და დაჯილდოვების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის მიზნით გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისთვის და ბეჭდვითი სიტყვის დღესთან დაკავშირებით საქალაქო სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბატიო სიგელისა და დაჯილდოვდნენ:


ალიგო ი. — „სოვეტ გიორჯის“ ტანის“ კორესპონდენტი, აღმასრულებელი რედაქტორი, ვარსკვლავის რესტორნის განყოფილების გამგე, გუგუშვილი ნ. — „ლელოს“ განყოფილების გამგე, ერემიანი ა. — „ზარია ვოსტოკის“ განყოფილების გამგე, კაკაბაძე მ. — „ლელოს“ რედაქტორი, კამენსკი ბ. — „ვეჩერნი ტბილისის“ სექტორის გამგე, მელონიკი ვ. — „საბჭოთა ოსეთის“ კორესპონდენტი, მორჩილაძე ა. — „საბჭოთა აჭარის“ კორესპონდენტი, მედლიძე დ. — „სოლოლოვი გრუზიის“ კორესპონდენტი, ნოზაძე ო. — „კომუნისტის“ კორესპონდენტი, სემიონოვი გ. — „სოვეტსკაია აბხაზიის“ კორესპონდენტი, ქირია შ. — „თბილისის“ კორესპონდენტი, ქორჭია რ. — „ლელოს“ განყოფილების გამგე, ჭიჭინაძე უ. — „ახალგაზრდა კომუნისტის“ განყოფილების გამგე, ჯაფარიძე ზ. — „ლელოს“ რედაქტორის მოადგილე.

ნაკრებმა შევსება მიიღო

ამას წინათ სოსუმში, „სპარტაკის“ დარბაზში, ჩატარდა უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 3 რესპუბლიკური სკოლის (დირექტორი კ. გონაძე) პირველობა ფრენბურთში. როგორც ცნობილია, ამ სკოლაში თავმოყრილი არიან საქართველოს ფრენბურთულ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, ამიტომაც აღნიშნული ტურნირი მიზნად ისახავდა ამ კოლექტივებისთვის ღირსეული რეზერვის გამოვლინებას.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, სოსუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, გორისა და გუდაუთის კოლექტივები. საინტერესოა ითქვას, რომ 110 მონაწილეთა I თანრიგის ნორმატივი 30 ახალგაზრდამ შეასრულა. ვაჟთა ნაკრებ გუნდში ჩაირიცხნენ რუსთაველი ფრენბურთელები ა. ბოისა და ნ. პავლოვი (მწვრთნელი ვ. კაუფმანი), ქალთა ნაკრებში კი — გორელი ე. ხაჩიძე (მწვრთნელი ა. ხაჩიძე), ცხინვალელი ს. ბესთავეა (მწვრთნელი ტ. თიბილოვი) და ბათუმელი ს. მკრტიჩაიანი (მწვრთნელი ლ. კაკაბაძე). შეჯიბრებამ ცხადყო სკოლის ფრენბურთელთა ოსტატობის შემდგომი ზრდა.

ვაჟთა შორის საპირიშო ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსთავი, 2. ბათუმი, 3. სოსუმი; ქალები — 1. თბილისი, 2. ცხინვალი, 3. სოსუმი.



სურათზე: გ. ონაშვილი, მ. ზარგარიანის ფოტო.

ტრადიციული შეჯიბრების კიდევ ერთი სტარტი

თბილისში ტრადიციული კალათბურთისა და ფრენბურთის ო. ავალიშვილის სახელობის თასის ტრადიციული გათამაშება კალათბურთში.

ქალთა გუნდების შეჯიბრება უკვე დამთავრდა. თასი მოიპოვეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა, რომლებმაც ფინალურ მატჩში შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხეს უნივერსიტეტის გუნდი — 66:63 (31:27). გამარჯვებულთაგან

საუკეთესო ზომბარდირი იყო გრიგალაშვილი — 17 ქულა. რილოვამ თავის კოლექტივს 13 ქულა მოუტანა, მოსულიშვილმა — 12. უნივერსიტეტის გუნდში ამ მხრივ გამოირჩეოდნენ კაპანაძე (20 ქულა) და მჭედლიძე (14).

ვაჟთა შეჯიბრებაში გამოვლინდნენ ფინალისტები. გადამწყვეტი მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „სინათლე“ და თბილისის განათლების განყოფილების გუნდი.

ფინალური გავიღნენ

სოსუმში დამთავრდა „ბურევესტიის“ ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა ფრენბურთულ ვაჟთა გუნდებს შორის. ფინალის საგზურისთვის აფხაზეთის დედაქალაქში ხუთი კოლექტივი იბრძოდა. ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები და სოსუმელი ფრენბურთელები.

წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი სტუდენტები. მისკის, ერევინისა და სოსუმის გუნდები მათ დაამარცხეს ერთნაირი ახგარიშით (3:0), ხოლო ვილნიუსის ფრენბურთელები — 3:1.

ჩვენი გუნდი ფინალში გავიდა. დასკვნითი მატჩებია ოღესამი მოეწყობა.

მორიგი ტირაჟები



30 აპრილს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟები. აი, ილბიანი ციფრები და სახეობები: „სპორტლოტო“-1: 19 (აკადემიური ნიხოსნობა), 29 (საპარამუტო სპორტი), 37 (სროლა), 38 (მშვილდოსნობა), 41 (ჩოგბურთი), 43 (ფარკაობა). „სპორტლოტო-2“-ი: 5 (ბადმინტონი), 8 (კრივი), 10 (საბურთო სპორტი), 31 (ტურფა), 39 (სამბო), 42 (ძალოსნობა).

გივი ონაშვილის ოქროს მედალი

1972 წელს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გივი ონაშვილმა მიიღო მთავრობის ჯილდო — მედალი „შრომითი წარჩინებისთვის“. ასე აღინიშნა ქართველი ძიულისტის წარმატება მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში. გივიმ მაშინ ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა მიმე წონის ათლეტთა ასპარეზობაში. რამდენიმე თვით ადრე კი მას ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის

მედალი ერგო იმავე მიმე წონაში (ჩემპიონი მაშინ ბოლანდიელი ვ. რიუსკა გახდა). გ. ონაშვილისთვის უცხო არაა დიდი საერთაშორისო ტურნირების მედალები. და მაინც, გუშინწინ ლონდონიდან მიღებულმა ცნობამ ამ ნიჭიერი ათლეტის ყველა გულშემატკივარი გაახარა. ონაშვილი (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბ. მაზია

შვილი) ევროპის ჩემპიონი გახდა მიმე წონაში. ინგლისელი მიმომხილველები ძალიან აქებენ 27 წლის თბილისელ სტუდენტს გ. ონაშვილს. მან 5 შეჯიბრება ჩატარა ლონდონის სარბიელზე და უმეტესობა წმინდად მოიგო. ფინალში გივი ონაშვილმა დაამარცხა სახელოვანი ბოლანდიელების ა. გევენიკის და გ. რიუსკას თანამემამულე დოლმანი.

ლონდონში, 4 მაისი. (საკლესი). ევროპის ძიულისტთა პირველობაში მთასპარეზე მსუბუქწონისათა შორის ოქროს მედალი კივევლმა ა. მეღნიჩენკომ მოიპოვა. ამ 26 წლის სპორტსმენმა ფინალური შეჯიბრება ინგლისელ და კოსტას მოუგო. ქვესაშუალო წონაში ოქროს მედალი სვდა გ. კრიუვერს (გდრ). მისი შეხვედრა ჩელიაბინსკელ გ. დვიინო-

კოვთან ფრედ დამთავრდა, მაგრამ მსაჯებმა აქტიურობისთვის გამარჯვება კრიუვერს მიაკუთვეს. აბსოლუტური კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი საბჭოთა ათლეტი, ოლიმპიური ჩემპიონი შ. ჩირიშვილი (გორი) და კივევლი ს. ნოვიკოვი. 53 წაში გაიმარჯვა ნოვიკოვმა. 5 მაისს ჩატარდება გუნდური შეჯიბრება.



თბილისელი აუტსაიდერთა უოკალი



2 მაისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

„ბარბარტი“ — „სპარტაკი“ 2:0. ერევნელმა ფეხბურთელებმა დიდი აღშფოთებით, ენერგიულად ითამაშეს მოსკოველთა კარში ორივე ბურთი ანდრიასანმა გაიტანა.

ცხაბ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:1. საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში წინ იყვნენ არმიელები (სმირნოვი), მაგრამ დინამოელთა ცდამ საბოლოოდ შედეგი გამოიღო და ბაიდანმა საპასუხო ბურთის გატანა შეძლო.

„ზენიტი“ — „ტორპედო“ 1:0.

„ზარბატი“ — „ნისტრუ“ 1:1.

„შახტიორი“ — „ჩარნომორცხი“ 2:1.

„დნეპრი“ — „ჰანიბატი“ 1:0.

„პარბატი“ — „ფანტაზიკრი“ 2:0.

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) 2:0 (0:0).

კიევი: რუდკოვი, ზუევი, მატვიენკო, ფომენკო, რეპო, ტროსკინი (შეპელი), ბურიაკი (მუნტაიანი), ონიშჩენკო, კოლოტოვი, ვერემევი, ბლოხინი.

თბილისი: გავლიძე, მოძუაშვილი, ხინჯაშვილი, ხორცელაძე, მუჯირი, კელიძე, მ. შარაძე, ებრაელიძე, გუცაიანი, გნოდია (რეხვიანი), უიფიაი.

მაჯი მ. რუბინისი (კიევი). დუბლიორები — 1:0.

შესაძლებლობა უკვე მე-9 წუთზე შექმნა, თუმცა ეს მანერ ვერ გამოიყენა.

შემდგომში მდგომარეობა გათამაშრდა, სტუმრებმა აქტიურად გაითამაშეს რამდენიმე კომბინაცია, შეტევაში ხერხიდანაც მონაწილეობდა, გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა მიუცა გუცაიანს.

მთელი ტაიმი ორმხრივ პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მაგრამ მე-რე, როცა კიევის „დინამოს“ შემადგენლობაში ბურიაკის ადგილი მუნტაიანმა დაიკავა, მდგომარეობა შეიცვალა. გამოდგომილი დისპეტერი პირველზე წუთებიდან ჩაება ბრძოლაში და მისი „ხელი“ მანერე დატყობი პარტნიორებს. გუნდი ათამაშდა სრული სიძლიერით, გავლიძეს შედიხედ მოუხდა ძნელი ბურთების აღება; 55-ე წუთზე თბილისელთა კარი ძღმა იხსნა აშვარა გოლისგან, 59-ე წუთზე

კი ბურთი მაინც გავიდა: კოლოტოვმა საჯარიმო მოედანზე გაითამაშა კომბინაცია პარტნიორებთან, გავიდა დია პოზიციამ და გავლიძესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა.

სტუმრებმა მანერე სცადეს მდგომარეობის გამოსწორება. საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა მიუცათ ყიფიანს, გუცაიანს, ნოლისს, 71-ე წუთზე კი რუდკოვმა ძალიან ძნელი, თითქმის უმიდოდ ბურთი აიღო ყიფიანისგან.

ამ დამაბულ სიტუაციაში მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა იმავე კოლოტოვმა. მან ზუსტად ისევე ითამაშა, როგორც 59-ე წუთზე, იგივე ადგილას გავიდა კარის წინ და მეორედ გაუზავნა ბურთი ბაღში.

დანარჩენ დროში თბილისელები ბევრს ვადაუნდნენ, მაგრამ ამოდ. კიეველებმა ბოლომდე ორგანიზებულად

ბრძოლეს და გამარჯვება შეინარჩუნეს.

ჩვენი კიეველი კორესპონდენტის ნაამბობს დავუმატებთ იმას, რომ თბილისის „დინამო“ 4 ტურის შემდეგ ძალიან არასახარბილო მდგომარეობაშია, ბოლო ადგილებზეა და განვლილ ოთხ მატჩში სულ ერთი ბურთი აქვს ვაჭარბული. გუნდის მეთვლიყველად მწელი, საპასუხისმგებლო შეხვედრები: 9 მაისს შინ — გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან „ზენიტთან“, 14 მაისს მოსკოვში — ადგილობრივ თანაკლუბებთან, 20 მაისს იგი მასპინძლობს სსრ კავშირის ჩემპიონს „არარატს“. ამ მატჩებში დინამოელებმა ყველაფერი უნდა იღონონ მძიმე მდგომარეობის დროთა გამოსასწორებლად.

დაგანანი ფაგეგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 2 მაისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:1 (0:0).

„ტორპედო“: გაბელია, აბზიანიძე (კოსტავა), ფიფია, ბერულავა, კობონიძე, ოქროპირაშვილი, კვიციანი (ფარულავა), შელა, ფესტაძე, სერხაძე, გაბიჩავაძე (ჩახუნაშვილი).

„ლოკომოტივი“: მილესი, მასლოვი, ოგინიშვილი, რაბოცკი, პერეგონცევი, სტეპანოვი, უტკინი (როსკოვი), ჩენსოკოვი, მალინიჩი, ნოვიკოვი, ტრუსოვი.

მაჯი ნ. კრილოვი (კუბიშვილი). დუბლიორები — 2:1.

რთული შეცვალა. ფარულავას და, განსაკუთრებით, ჩახუნაშვილის გამოსვლამ საგრძობლად გააძლიერა მასპინძელთა იერიშები, თუმცა კარში დარტყმები მაინც არ იყო. გააძლიერეს თამაში ლოკომოტიველებმა.

53-ე წუთზე გაბელიამ ნოვიკოვის დარტყმის შემდეგ შესანიშნავი რეაქციით იხსნა თავისი გუნდი აშვარა გოლისგან. თამაშის ტემპმა თანდათან იმატა, ორივე გუნდის საჯარიმო მოედანზე შედიხედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები.

76-ე წუთზე მალინიჩის უძლიერესი დარტყმა კვლავ მოიგვრია გაბელიამ; მაგრამ გავლია წუთი და ჩენსოკოვმა, რომელიც საუკეთესო იყო, მიწოდო, ზუსტი დარტყმით ანგარიში გასწა.

ამის შემდეგ მოსკოველები კვლავ დროს გაყვიბის ტექტიკაზე გადავიდნენ და შეძლეს ანგარიშის შენარჩუნება, თუმცა ტორპედოელები სწორ

რად, მინდომებით და სახიფათოდაც უტყუდნენ.

ლ. ფაჩაშვილი. (ჩვენი კორ.)



ასე დამთავრდა: „ამპირი“ (დუშანბე) — „შინიკა“ (იაროსლავლი) 2:2 (მენდელევი), „სტრითელი“ (აშხაბადი) — „ტექსტილშიკი“ (ივანოვი) 3:1, „ნეფთიჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „უზბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „სპარტაკი“ (თრკონიკოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 0:4, „სტერია“ (სიმფეროპოლი) — „შეზნა“ (პერმი) 4:1, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „კიროლი სოვიტოვი“ (კუბიშვილი) 3:3 (პენალტებით), „მეტალურგი“ (შაპოროვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 3:1, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „უზბანი“ (კემეროვი) 2:2.



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 მაისისთვის

ტ. შ. ფ. წ.	ბ.	ბ-11 ქ.
„დინამო“ (დნეპროპეტროვსკი)	4 3 1 0	7-2 — 7
„დინამო“ (კიევი)	4 3 1 0	6-1 — 7
ცხაბ	4 2 1 1	8-5 — 5
„ზენიტი“ (ლეინგრადი)	4 1 3 0	5-4 — 5
„პარბატი“ (ლვოვი)	4 1 2 1	5-4 — 4
„ჰანიბატი“ (ალშა-ათა)	4 1 2 1	6-6 — 4
„ბარბარტი“ (ერევანი)	4 2 0 2	5-5 — 4
„შახტიორი“ (დონეცკი)	4 1 2 1	2-2 6-6 4
„ნისტრუ“ (კიშინიოვი)	4 1 2 1	3-4 — 4
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	4 1 2 1	1-2 5-4
„ჩარნომორცხი“ (ოდესა)	4 0 3 1	5-6 — 3
„დინამო“ (მოსკოვი)	4 0 3 1	3-4 3-3 3
„ზარბატი“ (ვოროშოლოვგრადი)	4 0 3 1	2-3 3-3 3
„ტორპედო“ (მოსკოვი)	4 1 1 2	1-3 3-3 3
„დინამო“ (თბილისი)	4 0 2 2	1-5 5-2
„ფანტაზიკრი“ (ტაშკენტი)	4 0 2 2	1-5 3-3 2

მოსკოველთა ტაქტიკური წახაფიერი — ყოველგვარი საშუალებით ავლთ ქულა მეტოქის მიმდრე, მატჩის დასაწყისშივე ნათლად გამოჩნდა: ისინი განზრახ აყვებდნენ ბურთს მიწოდების შუაგულში, სისტემატურად გზავნიდნენ მას სახს გარეთ, ატანებდნენ დროს და ძალისმიერ თამაშსაც არ კრიდებოდნენ. ეს აზრები მხედველობიდან არ გამოჩნებია არბიტრს, რომლის სასტყენი სწორად აჩერებდა თამაშს, მაგრამ ნ. კრილოვის სანქციები მხოლოდ ამით იფარგლებოდა, ლოკომოტიველები კი განაგრძობდნენ წესის დარღვევას. საჯარიმის იყო რომელიმე ტორპედოელი იერიშზე გადასულიყო, თუნდაც კარიდან დიდი მანძილით შორს, რომ უხეში ილიეთი აჩერებდნენ. ისე უნდა აღინიშნოს, რომ ტორპედოელებმა ასეთ სიტუაციაში შედეგები გაუბეღებია, შინი და მორბალები გამოიჩინეს.

ტაიმი ისე მიიწურა, არც ერთ მეკარეს ჯაფა არ დასდგომია და არც ერთ ფეხბურთელს სახიფათოდ არ დაურტყამს.

მეორე ტაიმი „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ერთბაშად სამი ფეხბურ

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 მაისისთვის

ტ. შ. ფ. წ.	ბ.	ბ-11 ქ.
„ნეფთიჩი“ (ბაქო)	5 4 1 0	7-1 — 9
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	5 4 0 1	8-3 — 8
„პრ. სოვეტოვი“ (კუბიშვილი)	5 3 2 0	6-1 6-6 8
„დინამო“ (მინსკი)	5 4 0 1	9-5 — 8
„ბსკ“ (დონის როსტოვი)	4 3 1 0	9-2 4-4 7
„ტორპედო“ (ქუთაისი)	5 2 1 2	5-3 — 5
„სტრითელი“ (აშხაბადი)	5 2 1 2	5-5 3-3 5
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	5 2 1 2	3-3 4-4 5
„შეზნა“ (პერმი)	5 2 1 2	7-8 — 5
„აშხაბადი“ (ყუბუღოვი)	5 2 1 2	5-7 — 5
„ბაქო“ (სიმფეროპოლი)	4 1 2 1	5-3 3-3 4
„შინიკა“ (იაროსლავლი)	5 1 2 2	4-6 2-2 4
„სპარტაკი“ (ორჟონიკიძე)	5 2 0 3	9-12 — 4
„უზბანი“ (კრასნოდარი)	4 1 1 2	6-7 — 3
„მეტალურგი“ (შაპოროვი)	4 1 1 2	5-6 — 3
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	5 1 1 3	3-8 — 3
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	4 0 2 2	2-5 3-3 2
„მესტილი“ (ივანოვი)	5 0 2 3	4-9 — 2
„ამპირი“ (დუშანბე)	5 0 2 3	3-9 2-2 2
„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)	4 0 2 2	2-4 3-3 2

ტ. შ. ფ. წ. ბ. ბ-11 ქ.

5	4	1	0	7-1	—	9
5	4	0	1	8-3	—	8
5	3	2	0	6-1	6-6	8
5	4	0	1	9-5	—	8
4	3	1	0	9-2	4-4	7
5	2	1	2	5-3	—	5
5	2	1	2	5-5	3-3	5
5	2	1	2	3-3	4-4	5
5	2	1	2	7-8	—	5
5	2	1	2	5-7	—	5
4	1	2	1	5-3	3-3	4
5	1	2	2	4-6	2-2	4
5	2	0	3	9-12	—	4
4	1	1	2	6-7	—	3
4	1	1	2	5-6	—	3
5	1	1	3	3-8	—	3
4	0	2	2	2-5	3-3	2
5	0	2	3	4-9	—	2
5	0	2	3	3-9	2-2	2
4	0	2	2	2-4	3-3	2

თამაშობენ ვეტერანები

ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად საქართველოში ჩამოვიდა მოსკოვის ვეტერან ფეხბურთელთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაში არიან წარსულის გამოჩენილი ოსტატები ხომიჩი, კრივოპევი, სალნიკოვი, კესარევი, ბაგრატი, ვ. პონომარევი და სხვ.

გუნდში თბილისის „ლოკომოტივის“ სტალონზე, ძლიერი წვიმის მიუხედავად, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მანერელები დაესწრო მოსკოვისა და

თბილისის ვეტერანთა საინტერესო მატჩს. თბილისელთა რიგებში იყვნენ გავა, სარჯულაძე, მესხი, თორაძე, ვ. რეხვიანი, ბ. სიჭინავა, კალაიკვი, დათუნაშვილი, ს. კორტიკაძე, ურუშაძე და სხვ.

ანგარიში გახსნა დათუნაშვილმა, შემდეგ პონომარევიმ საპასუხოდ გოლი გაიტანა. ტაშის დასასრულს კი ილიადიმ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 2:1. შესვენების შემდეგ სოლოვიოვმა

კვლავ ადადგინა თანაფარდობა, ბ. სიჭინავამ კიდევ ერთხელ დაწინაურა თავისი გუნდი, საბოლოოდ კი კესარევა წერტილი დასვა მატჩის ანგარიშს — 3:3.

წინა დღეს 3 მაისს, მოსკოველებმა გორში ითამაშეს ადგილობრივი და თბილისელი ფეხბურთელებისგან შემდგარ გუნდთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.



პარშაპა. აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პოლონეთის ნაკრების საუკეთესო თავდასხმელი ვ. ლოუბანსკი მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვერ იასპარეზებს, ვინაიდან მუხლის კიდევ ერთი ოპერაცია აქვს გადასატანი.

სან-პაულუ. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მზადების პროგრამით ბრაზილიის ნაკრებმა აქ ამხანაგური მატჩი ჩატარა. ავსტრიის ეროვნულ გუნდთან.

ბრაზილიელები ფრეს დასჯერდნენ — 0:0.

მანამდე მსოფლიო ჩემპიონატს თავის მიმდრე, რომ-დე-ანჟიერში, ვერაფერი მოუხერხა საბერძნეთის ეროვნულ გუნდს და ასევე უგოლოდ დაამთავრა ამხანაგური შეხვედრა.

სილენი. ავსტრალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა, თავის გულმემატეებებს დიდი სიხარული მოუტანა, როცა აქ გამართულ მეორე საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 2:0 სძლია ურუგვაის ეროვნულ გუნდს.

რაც შეეხება სპეციალისტებისა და ჟურნალისტების აზრს, მოგახსენებთ, რომ მათ ამ გუნდების პირველი მატჩის შედეგად (0:0) ავსტრალიელთა წარმატებად მიიჩნიეს.



კინალიც მღერის

სწორედ იტალიელ სნაიპერს გ. კინალიას, რომელიც რომის „ლაციოში“ თამაშობს, იტალიელი გულშემატეებები „ლონე ჯონს“ („კორფელი ჯონი“) ეძახიან. ეს „გრძელი ჯონი“, როგორც ცნობილია, მოტლ-ნაღიური ვისკის მტკიცე გამოხატული.

კინალია მარტო ფეხბურთელი არ განლავთ. იგი მომღერალიც არის და ამას წინათ მონაწილეობა მიიღო მუსიკალურ ფილმ „მოსამართლეებში“, სადაც რამდენიმე სიმღერა იმღერა.



ალე ჩამსი ბალაყენა

ლონდონი, 1 მაისი. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოაცხადა, რომ სერ ალფრამსეი ამერიიდან ინგლისის ნაკრების მწვრთნელი აღარ გუნება.

რამსეი ინგლისის ეროვნულ გუნდს 1962 წლიდან ავარჯიშებს, თავისი კარიერის ამოკეას მან მიაღწია 1966 წელს, როცა ინგლისის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვევა.

ფეხბურთის ასოციაციის განცხადებაში ნათქვამია, რომ „არსენალის“ ყოფილი მთავარმწიფე ალფრამსეი „მოკვდრის“ მწვრთნელმა კი შეტყობისა თანხმობა განაცხადა, დროებით შეასრულოს ინგლისის ნაკრების დამრთველის ფუნქციები.

რივას ისევ ბააჰს გოლაბი

კარბა ხნის შესვენების შემდეგ, რაც მუხლის ტრავმით იყო გამოწვეული, კვლავ მწვობრში ჩადა ფალოარისა და იტალიის ნაკრების ცნობილი თავდასხმელი ლ. რივა.

„მუხლი უკვე მოგირჩა“, — უთხრა რივას პროფესორმა ა. პირასტომ, რომელიც უპირველეს ყოვლისა იტალიის ნაკრების მწვრთნელს ფ. ვალკარეჩა გაახარა, რივა კვლავ ჩაება იტალიის ჩემპიონატში და ისევე დაიწყო გოლების გატანა.

ს ს რ ტ უ ლ ი მ ა ი ს ი

საქართველოს სახელმწიფო მატარებელი (ინტალია)

გაზაფხულის ბოლო თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვიპირდება. გაგაცნობთ უმათრეს შეჯიბრებათა კალენდარს.

აპაღმეიური ნიჩაოსნობა
31. V-2. VI. საერთაშორისო შეჯიბრება — „მოსკოვის დიდი რეგატა“ (მოსკოვი).

აფროსნობა
21-28. საერთაშორისო შეჯიბრება. — „შავი ზღვის რეგატა“ (ტუაფსე).
25. V-6. VI. ევროპის ჩემპიონატი „ფინის“ კლასში (გერმ.).

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩაოსნობა
16-17. საერთაშორისო შეჯიბრება (უნგრეთი).
24-26. სსრ კავშირის თასი (ტიტო-მირი).

ბალანის კოპი
26-31. სსრ კავშირის საკლუბო გუნდების შეჯიბრება არგენტინის „სან-ფერნანდესთან“ (ალმა-ათა).

ბატუტზე სტომა
11-12. საკავშირო შეჯიბრების ფინალი და საერთაშორისო შეჯიბრება მფრინავ-კოსმონავტის გ. დობროვოლსკის ხსოვნის პრიზზე (მინსკი).
25-26. სსრ კავშირის ჩემპიონატი (კიევი).

ველოსპორტი
8-22. მწიფობის XXVII ველო-

ბოლა (ვარშავა — ბერლინი — ბრალი).
21-23. საკავშირო შეჯიბრება ტრე-კზე (ერუენი).

29-30. საერთაშორისო შეჯიბრება სპრინტი — „პოლონეთის დიდი პრიზი“ (პოლონეთი).
30. V-9. VI. სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან რბოლაში (ბელორუსია და ლიტვა).

თახაყვარობა ხუთიძლი
9-13. სსრ კავშირის თასი (ლუვი).
11-15. მოზრდილთა და იუნორთა საერთაშორისო შეჯიბრება (უნგრეთი).

კალათბურთი
11-26. აშშ-ს მოზრდილთა და იუნორთა ნაკრები გუნდების მატჩები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრებ კოლექტივებთან (მოსკოვი, ლენინგრადი, რიგა, ტალინი, კიევი).

15. V-5. VI. სსრ კავშირის ქალთა ნაკრების მატჩები აშშ-ს ნაკრებთან და საკლუბო გუნდებთან (აშშ).

პრივი
5-13. საერთაშორისო შეჯიბრება — „ოქროს სარტყელი“ (რუმინეთი).
14, 17 და 21. სსრ კავშირისა და აშშ-ს ნაკრები გუნდების მატჩები (მოსკოვი, კისლოვოდსკი, ალმა-ათა).

21-31. განისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შეჯიბრება (განა).

მაგიდის ჩოგბურთი
18. სსრ კავშირის თასის ფინალი (მოსკოვი).

ფეხბურთი
23-26. საერთაშორისო შეჯიბრება (მოსკოვი).

მელეოსნობა
9. საკავშირო შეჯიბრება (მოსკოვი).
9. საერთაშორისო შეჯიბრება (ჩეხოსლოვაკია).
30. V-1. VI. საერთაშორისო შეჯიბრება — „ოქროს ქაყვი“ (ჩეხოსლოვაკია).

მხატვრული ტანვარჯიში
11-12. საერთაშორისო შეჯიბრება (ბუღარეთი).
28-31. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მინსკი).

სამოტორციკლო სპორტი
18-19. ევროპის ჩემპიონატი მრავალბურთო (ჩეხოსლოვაკია).

საწყლოსნო სპორტი
18-19. სსრ კავშირის თასი (პერეო-მანსკი, ნიკოლაევის ოლქი).

ტანვარჯიში
22-26. სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალბურთო (დონის როსტოვი).

ტყვიის სროლა
15-20. საერთაშორისო შეჯიბრება (მინსკი).

ფარიპაობა
11-12. ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება (გერმ.).
11-12. საერთაშორისო შეჯიბრება ესპანურში (იტალია).

19-25. სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა შეჯიბრება (კუბა).
25-26. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

25-26. საერთაშორისო შეჯიბრება დაშნაში (საფრანგეთი).

ფეხბურთი
20. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების მატჩი (ოლდ-სა).

ფრენბურთი
5-18. იაპონიისა და სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდების მატჩები (იაპონია).
15-30. იაპონიისა და სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩები (იაპონია).

უაზი
18-24. ევროპის პირადი ჩემპიონატი (იტალია).

ჩოგბურთი
24. V-3. VI. საერთაშორისო შეჯიბრება (იტალია).

ფსალბურთი
28-30. საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).

ზადრაპი
10. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. ნ. ალექსანდრია — მ. შულის ნახევარფინალური მატჩის დასაწყისი (რეგა).

25. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი გ. კოზლოვსკაია — ი. ლევიტინას ნახევარფინალური მატჩის დასაწყისი (კისლოვოდსკი).

ხელბურთი
7-11. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეროე. წრის I ტური (ვლადივო, ლუცკი).

15 და 17. სსრ კავშირისა და ბუღარეთის ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩები (მინსკი).

18-26. ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მესამე წრე (ტაშვენტი).

31. V-5. VI. ქალთა საკავშირო ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე წრის II ტური. (შიაულია).


კოკაი
8. სსრ კავშირის თასის ფინალი (მოსკოვი).

რატომ არ გამოვიდნენ?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ აშშ-ს მოსკოვში გადმავლიდა, რომელიც საგრძობად გადმავლიდა, ენერჯიულად ემზადებოდა „კოკა კოლას“ საერთაშორისო შეჯიბრებისთვის. ეს ასპარეზობა ამას წინათ ლიდის (ინგლისი). 50-მეტრიანი აუზში ჩატარდა, საასპარეზოდ თავი მოიყარეს 21 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებმა, მაგრამ ამერიკელები არ ჩანდნენ. როგორც გამოიკვლია, აშშ-ს მოსკოვში ვაჟთა ნაკრების ხელმძღვანელობა, რომლის მთავარ საზრუნავსაც მსოფლიო ჩემპიონატი განცდილი მარცხის მიზეზების გამოკვლევა და მდგომარეობის გამოსწორება შეადგენს, ლიდის ამდენი მეტრის ჩასვლას არ ელოდა. ამერიკელებს წვრთნის საიდუმლოებათა გამხელა არ სურდათ და „კოკა კოლა“ შეჯიბრებაში მონაწილეობისგანაც თავი შეიკავეს. ამის მიუხედავად, შეჯიბრება საინტერესოდ ჩატარდა და მისმა შედეგებმა ამერიკელები ერთგვარად დააფიქრა. ტურნირმა ავსტრალიელთა საოცარი წინსვლა დაადასტურა და ცხად-

ყო, რომ „მწვანე კონტინენტის“ მოცურავეები ძველ დიდებულ იბრუნებენ: პროგრამის 24 სახეობიდან მათ რვაში I ადგილი დაიკავეს, საბოლოოდ 106 ქულა მოაგროვეს და 23 ქულით აჯობეს ახალზელანდიელებს, რომლებსაც II ადგილი ხვდათ. ისეც სენსაციია იყო, რომ ახალზელანდიელებმა ჩამოიტოვეს გერმანის (78 ქულა), პოლანდიისა (71) და სხვა ქვეყნების ძლიერი კოლექტივები. ავსტრალიელთა გამარჯვებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს ჯონი ტარელმა და ბრედ კუპერმა. ტარელმა თავისუფალი სტილით 200 (2.06,95), 400 (4.22,51) და 800 მეტრზე (8.51,86) გურვა მოიგო. კუპერმა ყველას აჯობა თავისუფალი სტილით 200 (1.57,24) და 400 (4.04,68), აგრეთვე, გულაშმა 100 (59,74) და 200 მეტრზე (2.08,27) გურვამ.

მა მოიპოვეს: პირველმა — 200 მეტრზე ბატერვლით (2.05,63) და კომპლექსურ გურვამ (2.14,86), ხოლო ლეიმ — ბრასით ორივე დისტანციაზე შეჯიბრებაში (1.08,84 და 2.28,2). რატომ დამარცხდნენ გერმანის მოცურავეები? გუნდის ხელმძღვანელობა შედეგებით უკმაყოფილო როდია. საქმე ისაა, რომ ლიდის გამოდითონ არა ნაკრების ძირითადი წევრები, არამედ სათადარიგონი. ამჯერად კოლექტივის ღირსების დაცვა მომავალ ოლიმპიურებს მიანდეს და არც შეემდარან: გუნდის წევრებმა 4 პირველი და 6 სხვა საპირით ადგილი მოიხვეჭეს. შეჯიბრებაში მხოლოდ ორი გროვული რეკორდი დამყარდა და ორივე დიდი ბრიტანეთისა იყო. ორივე მიღწევა შოტლანდიელ სპორტსმენებს ეკუთვნით. ისინი არიან 100 მეტრზე ბრასით ქალთა გურვამი გამარჯვებული მ. დეი (1.15,82) და 1500 მეტრზე გურვამი II ადგილზე გასული ე. კარტერი (16.17,57).



ამერიკელები საკოთა ქაუნიკუი

სსრ კავშირისა და აშშ-ს ქალთა-ბურთულ ვაჟთა შეჯიბრებს უმაღლეს დონეზე 22 წლის ისტორია აქვს. პირველად ამ ორი ქვეყნის გუნდებმა ერთმანეთს შეასატყვეობდნენ 1952 წელს ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში მოსინჯეს. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მსოფლიოს უმაღლესი საკალათბურთო წოდებისთვის მუდამ ეს ორი კოლექტივი იბრძოდა.

ოლიმპიური ტურნირების ისტორიაში საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენები მხოლოდ ერთხელ არ შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მოხდა 1968 წელს მეხიკოში. მაშინ ფინალში ამერიკელთა მეტოქე იუგოსლავიის ნაკრები იყო.

1972 წელს მიუნხენში დაირღვა მრავალი წლის ტრადიცია: საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს მუდმივი მეტოქეები და პირველად მოიპოვეს უმაღლესი ოლიმპიური ჯილდო.

მაგრამ ერთი წლის შემდეგ ამერიკელებმა რევანში აიღეს — სსრ კავშირის ნაკრებს მოსკოვის უნივერსიტეტში აჯობეს.

ბრძოლა ორ მოწინავე საკალათბურთო ქვეყანას შორის გრძელდება. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრადიციულ ამხანაგურ შეხვედრებს, რომლებიც მორიგეობით ტარდება ხან შვეიცრულ შტატებში, ხან სსრ კავშირში. შარშან, მაგალითად, საბჭოთა კალათბურთელებმა რვა მატჩი გამართეს სტუმრად და ოთხი მოიგეს.

ფეხბურთი
0:0
ბარლინი, 8 მაისი. გერმანის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფრედ (0:0) დაამთავრა ევროპის ჩემპიონატის პირველი ნახევარფინალური მატჩი პოლონეთის გუნდთან.

ამხანაგური შეხვედრების წლებადღე ციკლს სსრ კავშირი უმათრეს ძალად ახერხებს. 9 მაისს ამერიკელი კალათბურთელები მოსკოვს ეწვევიან. სსრ კავშირში ისინი სამ კვირას დატოვებენ და 9 მატჩს ჩატარებენ. 11 და 12 მაისს ამერიკელები ითამაშებენ მოსკოვში სსრ კავშირის ნაკრების წინააღმდეგ. შემდეგ ლენინგრადს ეწვევიან და იქაც ორ შეხვედრას გამართავენ — სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდთან და ქალაქის ნაკრებთან.

სტუმრებს ესტონეთის დელაქალაქშიც ორი მატჩის ჩატარება მოუწევთ — ისევ სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდთან და ესტონეთის ნაკრებთან. მეორე რიგშია დაგეგმილი ორი მატჩი, ორივე — ლატვიის ნაკრებთან. ბოლოს ამერიკელები გამოვლენ კიევში, სადაც მათი მეტოქე უკრაინის ნაკრები იქნება.

სსრ კავშირის ნაკრებისთვის ამ მატჩებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან 3-14 ივლისს სტუტგარტში მსოფლიო პირველად ტარდება და უკეთესი საპირბრუნო პარტნიორს საბჭოთა გუნდი ვერც იხატრება.

ფინალის ორი საგზური

ამას წინათ ვარშავაში ჩატარდა ევროპის კალათბურთულ ქალთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ 4 ქვეყნის (პოლონეთი, დანია, ჩრდილოეთ ირლანდია, ავსტრია) ნაკრები გუნდები. ამთავან ორი უძლიერესი ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლებას ითვებდა.

წარმატებით ითამაშეს პოლონეთის კალათბურთელებმა: მათ სამივე შეხვედრა მოიგეს და I ადგილზე გავიდნენ. II ადგილი ზედდანიის ნაკრებს (2 მოგება), მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ჩრდილოეთ ირლანდიისა და ავსტრიის გუნდები.

პოლონეთისა და დანიის ნაკრები კოლექტივები ევროპის ჩემპიონატის ფინალში იასპარეზებენ.

რედაქტორი მ. კაპაბამე.
მხარამის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, კოლმეურნის რაიონში იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სპორტის ოსტატი ელგუჯა ნიკოლოზის ძე გიორგაძე და თანაუგრობნენ განსვენებულს ოჯახს.

კაპიტალის სამხაროში გამოიყენება კუნთები

მედიკოსები უკვე იციან, რომ 15 საათს და მხოლოდ მეტრს მუშაობდა, რათა თავისი შვილი შეეცაში ულამაზეს კაცად ექცია. დედის ოცნება ახდა. მისი სახელია მარგიტ უოლგრენი — იგი სამხრეთ შვედეთის ქალაქ ისტადის მკვიდრია. მარგიტის ვაჟი, 23 წლის ერლინგ უოლგრენი „მისტერ შვედის“ წოდებას ატარებს, როცა ერლინგმა ეს ტიტული მოიპოვა, პირველად დედას გადაუხადა მადლობა, მარგიტე ამბობს: „მე გამაყობ ერლინგით. მინის მისაღწევად ორივემ ძალიან

ბევრი ვიწროვით. ჩვენი შემდეგი მიზანი „მისტერ სამყაროს“ წოდების მოპოვებაა. თავის დროზე ერლინგი საკმაოდ კარგი ძალოსანი იყო, მაგრამ მერე სპორტი მიატოვა, ვინაიდან ეს ვაჟი ტანის გასაღამაზებლად საემარისად არ მიიჩნია. „ვარჯიშები, რომლებსაც დღეს ვიყენებ ტანის გასაღამაზებლად, უწინდელზე ბევრად რთულია, — ამბობს ერლინგი. — მე უნდა ვიყო, როგორ ვვარჯიშო სხეულის ყოველი კუნთი, რაც ძალოსანისთვის აუცილებელი არ არის. უფრო კუნთის ძალიან დატვირთვა სასიფთოთა, რადგან სხეულმა შეიძლება სიმეტრია დაკარგოს. ტანის სიღამაზე კი ჩემი მიზნის მისაღწევად აუცილებელია“.

ერლინგ უოლგრენი 23 წლისაა, მაგრამ მუშაობა არ შეუძლია: დროს ვერ დაკარგავს ამისთვის. იგი მთელ დღეს კუნთების ვარჯიშში ატარებს. სამაგიეროდ, დედამა წვლებზე ფეხს იდგამს, რომ ერლინგს არ მოშვიდეს. იგი ხომ ხუთი კაცის ულუფას ჭამს!

მისი უოლგრენი ყოველ დღეს უმზადებს თავის ვაჟს „მსუბუქ“ საუზმეს: რძე, ყავას და უამრავ მუტურ ბროდს. შემდეგ ერლინგი სამსათიან ვარჯიშს იწყებს. მერე კი კვლავ სუფრას უნდა მიუჯდეს. ამჯერად მხეიუში შედის კვერცხი, ხორცი, ბოსტნეული, რძე და ხლი.

შემდეგ იგი ისევ ვარჯიშობს, ოღონდ ცოტა ხანს. მერე ჭამს ათქვეფილ კვერცხს პროტეინით, ხოლო ხუთ საათზე სადილობს. მხეიუ ასეთია: თევზი, ბოსტნეული, ხორცი, კვერცხი და რძე. ჩასადილევს „მისტერ შვედის“ სძინავს თორმეტი საათამდე, როცა დედამისი უზაადებს დღის უკანასკნელ ულუფას: კვერცხს, შემწვარ ხორცს, რძეს და ხილს. გარდა ამისა, ერლინგი ყოველდღე 15 პროტეინის ამს ყლავავს.

ჯერჯერობით ერლინგს არავითარი სარგებლობა არ მიუღია თავისი კუნთებისგან. მისი მარჯვად ყველაფერს მშობლები აკეთებენ. მაგრამ „მისტერ შვედის“ იმედი აქვს, რომ მომავალში ტიტულს შერსავლის წყაროდ გამოიყენებს — მას ხომ ფოტოსინთეზის უნარი ღია.

დედამისი იმ იმედით ცოცხლობს, რომ მისი 23 წლის ვაჟი ბოლოს და ბოლოს თვითონ შეძლებს თავის რჩებას. ვინ იცის...

